Sesagebeli
administraciul saqmeze

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

[illegible] საქალაქო სასამართლოს
[illegible] ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
[illegible] 30/11/20
[illegible] მტკიცების ადგილი
[illegible] № 414824
[illegible] 21/01/2022-03

საქმე №3/6912-20	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა"	მანუჩარ ცაცუა
	მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	მოსამართლის სახელი და გვარი

mopasuxe: *შენიშვნა-1*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6

სახელი, გვარი (სახელწოდება) — პირადი (საიდენ.) ნომერი — ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. — სამსახურის ტელ. — მობილური — ფაქსი — ელექტრონული ფოსტა

mopasuxis warmomadgeneli: *შენიშვნა-3*

ნატო მაჭარაშვილი	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი — პირადი ნომერი — ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

577080819

სახლის ტელ. — სამსახურის ტელ. — მობილური — ფაქსი — ელექტრონული ფოსტა

sakontaqto piri: *შენიშვნა-4*

ნატო მაჭარაშვილი	577080819	
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე:forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

sasamarTloSi dasabarebel pirTa sia

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
~~ალternატიული მისამართი~~		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

cnobT Tu ara sarCels?

diax ☐

ara ☒

nawilobriv ☐

შენიშვნა-8

mopasuxis pozicia mosarCelis mier miTiTebul davis faqtobriv garemoebebze

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

.

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელე ყველა ფაქტობრივ გარემოებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, არ ვეთანხმებით არცერთ მოსაზრებას და სამინისტროს პოზიციას თითოეულ მათგანთან დაკავშირებით დეტალურად წარმოგიდგენთ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში.

davis damatebiTi faqtobrivi garemoebebi

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

diax ☐ რის საფუძველზე?

ara ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

diax ☐ რის საფუძველზე?

ara ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

diax ☐ რომელი საფუძვლით?

ara ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას?

diax ☐ რომელი საფუძვლით?

ara ☒

შენიშვნა-19

mopasuxis pozicia sasarCelo moTxovnasa
da mis samarTlebriv safuZvlebze

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მოსარჩელის მოთხოვნას ბათილად იქნეს ცნობილი ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის N2-785 ბრძანება.

მოსარჩელე მხარე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემისას, სამინისტროს მიერ დარღვეულ იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნორმები და ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მოთხოვნები, რაც წარმოადგენს სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

მიგვაჩნია, რომ სადავოდ ქცეული ბრძანება მომზადებული და გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რასთან დაკავშირებითაც დეტალურად წარმოგიდგენთ სამინისტროს დასაბუთებას.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სადავოდ გამხდარი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება „ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზების დეპარტამენტის აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ არის სწორედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში უნდა შემოწმდეს გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების, როგორც ინდ. აქტის შესაბამისობა მოქმედ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილობის პირობებს და ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანომდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელთან მიმართებაში უნდა დადგინდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წრე, რომელიც ქმნის ზემოაღნიშნული მუხლის შემადგენლობას - გასაჩივრებული აქტის კანონშეუსაბამობას ან მისი მომზადება-გამოცემის წესების დარღვევას.

როგორც იურიდიულ დოქტრინაში, ასევე პრაქტიკაში დადგენილია ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმები: ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება. წინამდებარე კრიტერიუმებიდან რომელიმე მათგანის დაუცველობა კი, განაპირობებს მის უკანონობას და შესაბამისად იწვევს აქტის ბათილობასაც.

რაც შეეხება აქტის ბათილობის მეორე საფუძველს, თუ რა ითვლება აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევად, კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით განმარტავს, რომ აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა", რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოში, ახლებურად დაარეგულირა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების (პროექტების) შესახებ სახელმწიფო ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები და განსაზღვრა, რომ საქმიანობა, რომლის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე არ შეიძლება დაიწყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ჩატარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე.

აღნიშნული კოდექსის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არის „ამ კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა. თუ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია/ნებართვა ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის რომელიმე სტადიის დასრულება, აღნიშნული ლიცენზია/ნებართვა შეიძლება ძალაში შევიდეს ან/და ასეთი ლიცენზიის/ნებართვის შესაბამისი სტადია შეიძლება დასრულდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა".

ამასთან, სამინისტრომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რამდენიმე სავალდებულო ეტაპის გავლის შემდგომ, კერძოდ, კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გზშ-ის ძირითადი ეტაპებია: ა) ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა; ბ) საქმიანობის განმახორციელებლის ან კონსულტანტის მიერ გზშ-ის

ანგარიშის მომზადება ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად; გ) საზოგადოების მონაწილეობა; დ) სამინისტროს მიერ გზშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება; ე) ექსპერტიზის ჩატარება ამ კოდექსის VI თავის შესაბამისად; ვ) საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელება ამ კოდექსის V თავის შესაბამისად". ცხადია, რომ აღნიშნული პროცედურები კიდევ უფრო აძლიერებს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის შესაძლებლობებს.

როგორც წინამდებარე მუხლიდან გამომდინარეობს ჩამოთვლილ პროცედურებს შორის პირველი არის სკოპინგის პროცედურა. მართლაც, ადმინისტრაციული წარმოება სამინისტროში დაიწყო საქმიანობის განმახორციელებლის - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 21 აგვისტოს წერილის საფუძველზე, რომლითაც საქმიანობის განმახორციელებელმა სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოადგინა ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-3 მუხლის „ს" პუნქტის თანახმად, სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-სთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს, ხოლო სკოპინგის ანგარიში ამავე მუხლის „ტ" პუნქტის მიხედვით, არის წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

მოცემულ შემთხვევაშიც, საქმიანობის განმახორციელებელმა - საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოადგინა ადიგენის მუნიციპალიტეტში, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომლის საფუძველზეც სამინისტროში დაიწყო სკოპინგის პროცედურა.

სამინისტრომ აღნიშნული პროცედურის განხორციელება უზრუნველყო კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე, სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე. ინფორმაცია ასევე განთავსდა დაბა აბასთუმანში სხვადასხვა ადგილას (საინფორმაციო დაფებზე, ავტოგაჩერებაზე და თავშეყრის ადგილებში).

შესაბამისად, დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცა საშუალება სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოედგინა სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები. 2019 წლის 16 სექტემბერს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, დაბა აბასთუმნის ,,ფილტვის ცენტრის" საზოგადოებრივი ცენტრის დარბაზში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, მაჟორიტარი დეპუტატი და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის

ჩაშონათვალი და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები და გაიცა სკოპინგის დასკვნა N17; ბრძანება N2-208, 06.03.2020წ.

აღნიშნულის შემდგომ სამინისტროში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნათა დაცვით კი უკვე წარმოდგენილი იქნა 2020 წლის 25 მარტს ადიგენის მუნიციპალიტეტში ,,აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გზშ არ მოიცავდა სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ ინფორმაციას. აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს და გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, 2020 წლის 27 მარტს საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე განთავსდა ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე განხორციელების შესახებ (იხ. ელ. ბმული https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25556). სამინისტრომ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოსადგენად საზოგადოებას განუსაზღვრა კანონით დადგენილი ვადა - 40 დღე (იხ. ელ. ბმული https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/24515).

მიმდინარე წლის 10 აპრილს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ,,აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში ტექნიკური ხარვეზის შესწორების მიზნით წარმოადგინა გზშ-ის ანგარიშის პირველი ტომის კორექტირებული ვერსია, რომელიც ასევე განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე წლის 13 აპრილს (იხ. ელ. ბმული https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25572) და სამინისტრომ კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით უზრუნველყო დაინტერესებული საზოგადოებისთვის დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა (კვლავ 40 დღე - 2020 წლის 15 ივნისამდე).

გასათვალისწინებელია, რომ სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა რამდენიმე ტომს (გზშ-ის ანგარიში ტომი 1, გზშ-ის ანგარიში ტომი 2; გზშ-ის ანგარიში დანართი 1, გზშ-ის ანგარიში დანართი 2, გზშ-ის ანგარიში დანართი 3 და ა.შ.), რომელიც ქმნის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ერთიან პაკეტს. შესაბამისად, რომელი ტომია მთავარი ან რომელი ნაკლებადმნიშვნელოვანი, მსგავს ტერმინებს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების მიზნით კორექტირებული გზშ-ის ანგარიში სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ იქნა კანონმდებლობის სრული დაცვით და საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით, ასევე წარმოედგინა შენიშვნები და მოსაზრებები. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება, რომ განცხადება სრულად არ გამოქვეყნდა არ შეესაბამება სიმართლეს და ამის ნათელი დადასტურებაა პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული არაერთი ინფორმაცია.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ ახალ განცხადებას თან ერთვოდა მხოლოდ განსახილველი დოკუმენტების ნაწილი და დანარჩენი დოკუმენტები დაინტერესებულ პირს თავად უნდა მოეძიებინა ადრე გამოქვეყნებული განცხადების თანდართული ბმულიდან, თუმცა იქვე სარჩელში უთითებს აღნიშნულის საწინააღმდეგო ინფორმაციას, სადაც აღნიშნავს, რომ სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ბმულების მეშვეობით გადავყავართ ყველა წინა თუ მომდევნო განცხადებასთან და დოკუმენტთან, რაც აღნიშნულ პროექტს უკავშირდება.

შესაბამისად, ყველა გამოქვეყნებული განცხადება ერთმანეთთან კავშირშია ელექტრონული ბმულების საშუალებით და მარტივად ხელმისაწვდომს ხდის.

2020 წლის 13 აპრილს გამოქვეყნებული განცხადებით სამინისტრომ საზოგადოებას განუსაზღვრა კანონით დადგენილი ვადა - 40 დღე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელის მსჯელობა, რომ საზოგადოებას არ მიეცა შესაძლებლობა და დრო სათანადოდ გაცნობოდა დოკუმენტაციას ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 10 აპრილს წარმოდგენილი განცხადება ეხებოდა მხოლოდ გზშ-ის ანგარიში ტომი 1-ს და ითვალისწინებდა ტექნიკური ხარვეზების გასწორებას, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა, ადმინისტრაციული წარმოების ვადების თავიდან განსაზღვრა. აქვე აღვნიშნავთ, რომ კორექტირებული დოკუმენტი (გზშ-ის ანგარიში ტომი 1) სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ადიგენის მუნიციპალიტეტში „აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ დოკუმენტაციის (პირველი განცხადების) განთავსებიდან 10 დღის ვადაში, შესაბამისად, საზოგადოებისათვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე განთავსებული დოკუმენტაციის განხილვის და შენიშვნების წარმოდგენის ვადად კვლავ განისაზღვრა 40 დღე.

აღნიშნულის პარალელურად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 და 42-ე მუხლების შესაბამისად, სამინისტრომ 2020 წლის 31 მარტს უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა. სამინისტრომ ექსპერტიზის პროცესში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს წერილობით მოსთხოვა ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზუსტება და მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ. დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენისთვის სამინისტრომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს განუსაზღვრა ორი თვის ვადა (წერილი N5494/01). სამინისტრომ 2020 წლის 17 ივნისის №5494/01 წერილზე, დამატებით საავტომობილო გზების დეპარტამენტს ასევე გაუგზავნა პროექტთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ შენიშვნები. ყველა ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე. (ელ. ბმულები https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/26749.https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/26781). 2020 წლის 20 ივლისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით, პროექტთან დაკავშირებით დამატებით წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ასევე მიმდინარე წლის 21 ივლისს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა 2020 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით.

აღნიშნული კორესპონდენციით, დამატებით წარმოდგენილ იქნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ზურმუხტის ქსელის საიტისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კვლავ განხილულია შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა და დამატებით მოცემულია ალტერნატივების შედარების ანალიზი, ხოლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის საფუძველზე წარმოდგენილია რისკის მართვის ჩარჩო დოკუმენტი. წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია განთავსდა ასევე ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე. 2020 წლის 23 ივლისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამინისტროში წარმოადგინა წერილი აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივას“ და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ინფორმაციის სახით მიმდინარე წლის 24 ივლისს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ.გვერდზე. (იხ

ელ.ბმულები:https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/26844; https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/26857).

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნებს და მოიცავდა ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას/ინფორმაციას.

გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია სრულყოფილია და მოიცავს განსაზღვრული და ჩატარებული კვლევების შედეგებს, მოპოვებულ და შესწავლილ ინფორმაციას, შესაბამის შემცირების/შერბილების ღონისძიებებს და არ ვეთანხმებით მოსარჩელის მსჯელობას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ სხვადასხვა დარღვევების თაობაზე.

მაგალითად, მოსარჩელე აქტის ბათილობის ერთ-ერთ საფუძვლად ასახელებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს. იგი განმარტავს, რომ სამინისტროს არ ჰქონდა უფლება გასცდენოდა წინამდებარე მუხლით დადგენილ ფარგლებს, რომლის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს მხოლოდ ექსპერტიზას, საზოგადოებისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობას...“, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სამინისტრო გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შესატან ცვლილებებზე და შეცდომების გამოსწორებაზე იყო ორიენტირებული“, რისი უფლებამოსილებაც მას ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით მოსარჩელის მხრიდან კანონის ამგვარ ინტერპრეტაციას და გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა, სრულყოფილად გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმესთან დაკავშირებული საკითხები და ამ მიზნით დააზუსტებინოს საქმიანობის განმახორციელებელს საჭირო ინფორმაცია. ყველა პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, ემსახურება იმას, რომ ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლა, დოკუმენტაციის განხილვა და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი ექსპერტის (მათ შორის ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის სპეციალისტის) პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული მსჯელობისა და დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე გარკვეული საკითხების დაზუსტება, სწორედ ამიტომაც მოსთხოვა სამინისტრომ საავტომობილო გზების დეპარტამენტს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნული დაზუსტებების მიზანი ემსახურებოდა სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიღებას საქმიანობის განმახორციელებლისგან და დასაბუთებული გადაწყვეტილების გაცემას და ეს ცალსახად ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს.

სარჩელში მითითებულია ასევე, რომ ადმინისტრაციული წარმოების ვადა არ გაგრძელებულა სამინისტროს მიერ და არ არსებობს ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით, პროექტთან დაკავშირებით დამატებით წარმოადგინა ინფორმაცია. სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება და შეიტანა ცვლილება ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ადიგენის მუნიციპალიტეტში ,,აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 მარტის N 2-304 ბრძანებაში, სადაც მითითებულია, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სამინისტროს მოთხოვნით, საქართველოს საავტომობილო გზების

დეპარტამენტს პროექტთან დაკავშირებით დაევალა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა. ბრძანებაში აღნიშნულია ასევე, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 20 ივლისს წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლას საექსპერტო კომისიის მიერ. აღნიშნული ბრძანებით ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით გაიზარდა წარმოების ვადა და საექსპერტო კომისიას დაავალა ექსპერტიზის დასკვნის 2020 წლის 6 აგვისტომდე წარმოდგენა (იხ. წარმოების მასალა).

მოსარჩელე აქტის ბათილობის საფუძვლად უთითებს აგრეთვე დაინტერესებული საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების შეზღუდვას და აცხადებს, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართა კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვის გარეშე, რითაც დარღვეულ იქნა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადეობის მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსი) კონვენციის მოთხოვნები, თუმცა ვერ მოყავს არგუმენტები, რომლებიც დაასაბუთებდა დარღვევის ფაქტებს. იგი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ დაინტერესებული საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა და აბსურდულია სამინისტროს განცხადება, რომ სამინისტროს ვებგვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელადმისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნება დაინტერესებული საზოგადოებისათვის ინფორმაციის ამომწურავად მიწოდებას უზრუნველყოფს.

ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული გარემოების გამო, მართალია, რომ „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის №196 დადგენილების შესაბამისად, აღნიშნულ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნა წერილობით და აგრეთვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. თუმცა, სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სასურსათო და სააფთიაქო ქსელთან, სადაც არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით მოსახლეობის გადაადგილება დაშვებული იყო. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდა ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; სასურსათო და სააფთიაქო ქსელთან, სადაც არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით მოსახლეობის გადაადგილება დაშვებული იყო. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირება-ჩართულობის მიზნით წარმოებების შესახებ ინფორმაცია თავსდებოდა სსიპ გარემოსდაცვითი განათლების და ინფორმაციის ცენტრის ვებგვერდზე, მის ფეისბუქზე, ელ.ფოსტით ეგზავნებოდა გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და 6000-ზე მეტ გამომწერს. ინფორმაცია ასევე თავსდებოდა შესაბამის მუნიციპალიტეტებში ხალხმრავალ ადგილებში ყველა დაშვებულ ლოკაციაზე. სამინისტროს ვებგვერდზე დამატებით თავსდებოდა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მოკლე პრეზენტაცია, რომელიც ეგზავნებოდა მუნიციპალიტეტებს ვებგვერდებზე განსათავსებლად და, მოთხოვნის შემთხვევაში, საზოგადოებისთვის მატერიალური ფორმით ხელმისაწვდომად. შესაბამისად,

გაუგებარია, მოსარჩელის მხრიდან საზოგადოების მონაწილეობის უფლების დარღვევაზე აპელირება.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მოიცავს მხოლოდ საჯარო განხილვაში მონაწილეობას, მოსარჩელის მსჯელობა, რომ საჯარო განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობა ასუსტებს საზოგადოების როლს, მათ პირისპირ შეხვედრის ფორმატში შეძლონ და გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, არასწორია, რადგან საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც საზოგადოება აღჭურვილია შესაბამისი ცოდნით და მას აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს საკუთარი მოსაზრებების პოზიციონირება, წარადგინოს სარწმუნო არგუმენტები და ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითოს ისეთ საკითხებზე, რაც გასათვალისწინებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღებისას. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/17/1493 (2020 წლის 30 აპრილი), სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 წინადადების თანახმად, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით". აღნიშნული დებულება იცავს პირის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, როგორც საჯარო განხილვის, ასევე საკუთარი პოზიციის წერილობით ან/და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით წარდგენის გზით. კონსტიტუციის ხსენებული დანაწესი არ აკონკრეტებს მონაწილეობის რომელიმე ფორმას, თუმცა, ბუნებრივია, რომ, როდესაც კონსტიტუცია განამტკიცებს რაიმე უფლებას, იგი მისი განხორციელების რეალური შესაძლებლობის უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოსარჩელემ იდავოს კონსტიტუციის ხსენებული უფლების დარღვევაზე, მან უნდა დაასაბუთოს სადავო ნორმის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობის შეზღუდვა". საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებაში ასევე ნათქვამია, რომ „კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში პირის მისთვის ყველაზე უფრო მისაღები ფორმით მონაწილეობის გარანტირებაზე. მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით წარდგენა არ არის ეფექტური შესაძლებლობა საკუთარი პოზიციების გამოსახატად და, ამ თვალსაზრისით, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ობიექტური ზეგავლენის მოსახდენად".

მოცემულ შემთხვევაშიც მოსარჩელე მხარეს არ მოჰყავს კონკრეტული არგუმენტაცია, თუ რატომ არ არის ხსენებული ფორმებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკმარისი და ეფექტური შესაძლებლობა კონსტიტუციით დადგენილი გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლების რეალიზებისათვის. მოსარჩელე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ არსებობს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის უფრო ეფექტური საშუალება - საჯარო განხილვა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს საკმარის არგუმენტს უფლების შეზღუდვის ფაქტის დასასაბუთებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მითითება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადეობის მონაწილეობისა და ამ სფეროში

მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის კონვენცია) კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის დარღვევებზე.

მოსარჩელე სარჩელში აპელირებს აგრეთვე სხვადასხვა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე, მაგალითად „დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის, „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბერნის კონვენციის და სხვათა დარღვევებზე და ფაქტობრივ გარემოებებად ასახელებს, რომ ანგარიში არ ასახავს პროექტს, როგორც უპირატეს საჯარო ინტერესით გამოწვეულ აუცილებლობას, რომ მასში წარმოდგენილი არ არის ალტერნატივები, შემარბილებელი ღონისძიებებ და ა.შ., რასაც ასევე არ დავეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო:

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის საჭიროების დასაბუთება. როგორც ცნობილია, აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობა დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ14) ქუთაისი საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ82-კმ95 მონაკვეთის ფარგლებში, რომელიც აკავშირებს ქვეყნის სამხრეთ რეგიონს დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილთან და წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ტურისტულ მაგისტრალს წლის ყველა დროისათვის. არსებული გზა გადის დაბა აბასთუმნის ტერიტორიაზე (მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ოცხეს ხეობაში), რომელიც იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ერთადერთი პირდაპირი დამაკავშირებელი გზაა და სოციალური და სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ მისი სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია დასტურდება თავდაცვის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის და 2020 წლის 21 იანვრის წერილებითაც. კერძოდ, ნათქვამია, რომ ახალციხე-ბაღდათი-ქუთაისის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა სამხედრო თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ-ერთ ალტერნატიულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილება პირადი შემადგენლობის გადაყვანისა და სამხედრო ტვირთების გადაზიდვისათვის. შესაბამისად, რეგიონში გზის არსებობას, წლის თორმეტი თვის განმავლობაში, ქვეყნის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს გააჩნია სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებისთვის, ასევე გამოირჩევა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების კურორტების სიმრავლით, შესაბამისად, სახელმწიფომ გადაწყვიტა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და მიღებულ იქნა 2014-2021 წლებისთვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია. სტრატეგიის მომზადებისას ჩატარებულმა ტერიტორიულმა და ეკონომიკურმა ანალიზმა, რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის ტურიზმის პრიორიტეტულობა დაადასტურა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, 2014 წელს შემუშავდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურისტული განვითარების (2015-2020 წლები) სტრატეგია, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აბასთუმნის კურორტის განვითარებას უკავია. 2018 წელს შემუშავდა აბასთუმნის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც სხვა ქმედებებთან ერთად ითვალისწინებს საკურორტო სივრცის შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობას ახალციხე-ბაღდათი-ქუთაისის მარშრუტზე და კურორტის დაცვას სატრანზიტო მოძრაობისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის გზის შესანარჩუნებლად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა დაბა აბასთუმნის შემოსავლელი გზის პროექტი. როგორც გზშ-ის ანგარიშშია აღნიშნული, აბასთუმნის შემოსავლელი გზის მშენებლობით უზრუნველყოფილი იქნება კურორტზე გამავალი გამჭოლი სატრანსპორტო მოძრაობის არიდება, რაც შეამცირებს ლოკალურ დონეზე ჰაერის ხარისხზე სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეულ ზემოქმედებას. აღნიშნული, სხვა დაგეგმილ პროექტებთან ერთად, ხელს შეუწყობს აბასთუმნის, როგორც კურორტის როლის გაზრდას.

ბაღდათი - აბასთუმნის დამაკავშირებელი გზა წარმოადგენს იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ერთადერთ, პირდაპირ დამაკავშირებელ გზას, რომელსაც სოციალური და სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. გზა ამცირებს გადაადგილების დროს და მანძილს საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის ერთერთ საზღვრამდე და დაზოგავს დროს ქუთაისის აეროპორტიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონამდე (აბასთუმნამდე) მისასვლელად, რაც თავისთავად ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის განვითარებას.

გარდა ამ სტრატეგიული სატრანსპორტო და სოციალური მნიშვნელობისა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, თბილისი-სენაკილესელიძის ავტომაგისტრალზე შეწყვეტილი მოძრაობის გამო, აღნიშნული გზა ინტენსიურად იქნა გამოყენებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დასაკავშირებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონებს შორის ამ დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის კორიდორის შენარჩუნება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ასევე, კურორტ აბასთუმნის გენ-გეგმის რეკომენდაციების და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობისთვის, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აბასთუმნის შემოსავლელი გზის პროექტის დამუშავების შესახებ.

რაც შეეხება ალტერნატივებს, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია შემუშავებული ალტერნატივების შესახებ: ბაღდათი-ხაშური-აბასთუმნის მარშრუტი; ნულოვანი ალტერნატივა; ალტერნატივების ექვსი ახალი მიმართულება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ალტერნატივების შეფასება. ამასთან, დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში დეტალურადაა განხილული ბაღდათი-ხაშური-აბასთუმნის მარშრუტის და ბაღდათი-აბასთუმნის არსებული გზების შედარება. ნულოვან ალტერნატივასთან დაკავშირებით ინფორმაცია განხილულია დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციაში. ალტერნატივები შედარებულია ტექნიკური თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია გარემოზე და მათი პოტენციური ზემოქმედების ხარისხზე; გარდა ამისა, გზშ-ს ანგარიშში ყოველი რეცეპტორის და ზემოქმედების აღწერის ნაწილში მოცემულია სამი, განხილვისთვის შერჩეული ალტერნატივის შედარება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით; ანგარიშში დეტალურად არის შეფასებული და დასაბუთებული ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესად მიჩნეული ალტერნატიული ვარიანტი. შერჩეული ალტერნატივით როგორც ცნობილია ზურმუხტის ქსელის საიტის და ეროვნული პარკის გადაკვეთის სიგრძე 9.2კმ (9,119 კმ) შეადგენს. ამასთანავე, ალტერნატივის 75% მდებარეობს ფრინველებისთვის სპეციალური დაცული ტერიტორიის და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის (SPA 13/IBA GE015) საზღვრებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნებისა და საპროექტო დერეფნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი კვლევა, განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. პროექტისთვის მომზადდა ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება (ზზშ), რომელიც თან ახლავს გზშ-ის ანგარიშს, ასევე წარმოდგენილია დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციასთან ერთად. შეფასების პროცესში დადგინდა საპროექტო დერეფნის ფარგლებში ზურმუხტის დამტკიცებულ უბანზე „ბორჯომ-ხარაგაული“ იდენტიფიცირებული ჰაბიტატების არსებობა, შეფასდა დერეფანში წარმოდგენილი ჰაბიტატების მოწყვლადობა და არსებული მდგომარეობა. განისაზღვრა, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ჰაბიტატები საპროექტო არეალში ზურმუხტის ქსელის უბანზე დაცვას დაქვემდებარებული სახეობებისათვის.

დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დაფუძნებულია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებსა და დამატებითი შესწავლის შედეგებზე. ზზშ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის საიტის საზღვრებში სტანდარტულ ფორმაში მითითებული ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის რეზოლუცია №4-ით დაცულ ჰაბიტატებზე და

რეზოლუცია №6-ით განსაზღვრულ სახეობებზე ზემოქმედება. საპროექტო დერეფანში მოხვედრილი ჰაბიტატების „G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე“ და „G3.1H აღმოსავლური ნაძვის Picea orientalis ტყეები“ ნაწილი ამ ჰაბიტატების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. სამუშაოების წარმოებისას ჰაბიტატების განადგურება არ მოხდება. პროექტი ზემოქმედებას იქონიებს მხოლოდ ამ ჰაბიტატების ნაწილზე, და გამოიწვევს ფრაგმენტაციას. ზემოქმედება თავისი შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი არ იქნება. ასევე არ გამოვლენილა სახეობებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესაძლებლობა. ამასთან აღვნიშნავთ, რომ როგორც გზშ-ის ანგარიშში, ისე დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაციაში დეტალურად არის განხილული შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა და დამატებით მოცემულია ალტერნატივების შედარების ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედებას დაქვემდებარებული შემდეგი ჰაბიტატები: G1.21 მდინარისპირა Alnus-ის ტყე, რომელიც მხოლოდ წყლის დონის აწევისას სველდება და G3.1H - აღმოსავლური ნაძვის (Picea orientalis) ტყეები არ არის მოცემული ზურმუხტის ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში, დამატებითი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამინისტრომ პირობების სახით განუსაზღვრა საქმიანობის განმახორციელებელს, შეარჩიოს და სამინისტროში წარმოადგინოს ახალი, ადეკვატური ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ზურმუხტის ქსელში ჩასართავად. ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს ტერიტორიის დეტალურ აღწერას, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას ზურმუხტის ქსელში ჩასართავად და შევსებული უნდა იყოს სტანდარტული მონაცემთა ფორმა.

რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას, რომ მითითებულ ტერიტორიაზე საავტომობილო გზის გაყვანა ეწინააღმდეგება ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონს, გაცნობებთ, რომ კანონი არ კრძალავს კონკრეტულ საქმიანობას. აღნიშნული კანონით აკრძალულია დაცულ ტერიტორიაზე აფეთქებით სამუშაოების წარმოება შესაბამისად, სამინისტრომ საქმიანობის განმახორციელებელს განუსაზღვრა პირობა, დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რომ არ დაუშვას საავტომობილო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისას ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელიც ეწინააღმდეგება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონს. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის N84 დადგენილებით დამტკიცებული „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27-ეს პირველი პრიმა მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, ამავე წესის 27-ეს მესამე პრიმა მუხლის შესაბამისად.

ბორჯომი-ხარაგაულის საიტი (GE0000010) ბერნის კონვენციის ეგიდით შექმნილი ზურმუხტის ქსელის შემადგენელია, რომელიც პრაქტიკულად ემთხვევა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების საზღვრებს. აღნიშნული ქსელის შექმნის მიზანი იმ სახეობებისა და

ჰაბიტატების გრძელვადიანი შენარჩუნების უზრუნველყოფაა, რომლებიც ამ კონვენციის მიხედვით დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს საჭიროებენ.

აღსანიშნავია, რომ ბერნის კონვენციის თანახმად, „სპეციალური დაცვის ტერიტორიები“ რომლებიც ქსელის შემადგენელი ნაწილია არ უნდა იქნეს განხილული როგორც კლასიკური დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი, ეროვნული პარკი და სხვა). მოსარჩელე სარჩელში ასევე უთითებს, რომ ბერნის კონვენციით დაცულ საიტებზე დაუშვებელია საქმიანობის განხორციელება, შესაბამისად სამინისტრომ დააღვია როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო მოთხოვნები.

აღნიშნული მსჯელობა ყოველგვარ არგუმენტაციას მოკლებულია, ვინაიდან ბერნის კონვენცია არ კრძალავს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებას, არამედ ადგენს, რომ ამა თუ იმ საქმიანობამ შეუქცევადი ზემოქმედება არ უნდა მოახდინოს აღნიშნულ ტერიტორიაზე და იმ სახეობებზე, რომლის დასაცავადაც შეიქმნა მითითებული ტერიტორიები.

შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საპროექტო გზის გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში შეფასებული იყო ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, რომელიც განიხილეს და შეაფასეს შესაბამისი დარგის და კვალიფიკაციის ექსპერტებმა/სპეციალისტებმა, ასევე სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილია დამატებითი პირობები ზემოქმედების შემცირების/შერბილებისათვის, სამინისტრომ იმსჯელა და გასცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს და საერთაშორისო მოთხოვნებს.

რაც შეეხება „წითელი ნუსხის“ სახეობებს, ინფორმაცია საპროექტო დერეფნის გასწვრივ დაფიქსირებული, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობების და რაოდენობის შესახებ მოცემულია გზშ-ის ანგარიშში. დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე და სახეობებზე (მათ შორის წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე) ასევე ვრცელდება ყველა ის შემარბილებელი ღონისძიება, რომელიც დოკუმენტშია ასახული. განსაზღვრულია კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები „წითელი ნუსხის“ სახეობებისთვის. მცენარეთა სახეობებისთვის საფრთხის კატეგორიები განისაზღვრა „საქართველოს წითელი ნუსხის“ მიხედვით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად სამუშაოს შესრულებისას გათვალისწინებული იქნება „წითელი ნუსხის“ სახეობებთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით, მათ შორის დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავდა ყველა ძირითად ასპექტს გარემოს დაცვის კუთხით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების განხილვით. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, სამინისტროს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულება მნიშვნელოვანია სწორედ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში. შესაბამისად, სამინისტრო თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების განსაზღვრას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მათ შორის წინასამშენებლო ვალდებულებებსა და ასევე გზშ-ის ეტაპზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, პროექტთან მიმართებაში ექსპერტთა პროფესიულ ცოდნაზე დამყარებული მსჯელობის და საბოლოო დასკვნების შეჯერების საფუძველზე.

გზშ-ის ანგარიშითა და შესაბამისი დოკუმენტაციით, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამოვლენილი და შესწავლილი იქნა პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებაზე. კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში განხილულია და წარმოდგენილია საჭირო კვლევები, შეფასებულია და ასახულია შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები, რომელიც მაქსიმალურად შეარბილებს საპროექტო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილია ასევე დამატებითი პირობები, რაც აუცილებელია გარემოსდაცვითი კუთხით საქმიანობის განხორციელებისათვის.

შესაბამისად, არ ვეთანხმებით მოსარჩელის მოსაზრებას, რომ სამინისტროს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-14 მუხლის თანახმად, უარი უნდა ეთქვა საქმიანობის განხორციელებაზე. მიგვაჩნია, რომ სარჩელში აღნიშნული მოსაზრებები არ არის არსებითი ხასიათის, სარჩელში მოცემული მსჯელობა არ შეიცავს კონკრეტულ ნორმაზე დამყარებულ არგუმენტებს და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების - მინისტრის სადავოდ გამხდარი ბრძანების სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილობის არცერთ საფუძველად არ განიხილება. შესაბამისად, სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, არ დააკმაყოფილოთ სარჩელი.

mtkicebiTi Suamdgomlobebi

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

sxva saxis Suamdgomlobebi

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

გთხოვთ, საქმეში მესამე პირად ჩართოთ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იყოს ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ვინაიდან, მოსარჩელე მხარე ითხოვს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ გამოტანილი აღმჭურველი სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, იგი წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მესამე პირს.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

diax ☐ რის საფუძველზე?

ara ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარგმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

diax ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

ara ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?

diax ☐ მორიგების პირობები:

ara ☒ რადგან

შენიშვნა-30

TandarTuli sabuTebis nusxa

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1: „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის N2-557 ბრძანება.
დანართი 2: ადმინისტრაციული წარმოების მასალები CD დისკზე.
ფურცლების საერთო რაოდენობა:

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

diax ☒

ara ☐ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო თანდილაშვილი	24/10/2020 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-557

18/06/2019 ქ. თბილისი

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ხანიშვილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის N2-175 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი